პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 თებერვალი, შაბათი, 1985 წ.
№ 36 (7847) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეს ფოტო შარშან, ივლისშია გადაღებული. „ჩვენ თოთხმეტი წლისანი ვართ“ — ასე ერქვა კალათბურთელთა საკავშირო ტურნირს, რომელიც „მართვეს“ გამარჯვებით დამთავრდა.

ხულ რაღაც რვა თვეში ბიჭები ჭაბუკებად იქცნენ. გაიზარდნენ, ძალა და ოსტატობა მოემატათ. კიდევ ცოტაც და, ბევრი მათგანი უეჭველად დაადგება დიდი კალათბურთის რთულ გზას. სპორტისგან დატოვებული სიკეთე კი მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგულ თანამგზავრად გაჰყვება უკლებლივ ყველას.

# ბიჭები ორმოცდამეცამეტე სკოლიდან

**ყოველთვის ყველაზე ძნელი და ამავე დროს მნიშვნელოვანიც ახალი სიტყვის თქმაა. რა თქმა უნდა, ახალი საქმის დაწყება სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ ბოლო უეჭველად კეთილი უნდა გამოდგეს. ახალ საქმეს, როგორც წესი, თან სდევს შეცდომებიც, მარცხიც, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების საშუალებას იძლევა და მისი მთავარი ღირსებაც სწორედ ეს არის.**

**ოთხი წლის წინათ თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ერთ-ერთი მეხუთე კლასი სპორტულ, უფრო ზუსტად, კალათბურთის კლასად გადაკეთდა. ამ თამამი ექსპერიმენტის საბოლოო შედეგებზე საუბარი, რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა, მაგრამ ოთხწლიანი, მართლაცდა საინტერესო სავალის უკვე წარმოჩენილ სიკეთეზე თუ სიძნელეებზე რაიმეს თქმა აუცილებელიც არის. მით უფრო, რომ ექსპერიმენტის ობიექტი ფაქტიურად ჩვენი ხვალინდელი დღეა.**

**მკითხველს ვთავაზობთ 53-ე საშუალო სკოლის მერვე ექსპერიმენტული კლასის ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღის რეპორტაჟს:**

## 7 საათი და 45 წუთი.

## კიროვის პარკი

ჩვეულებრივი ზამთრის დილაა — სუსხიანი, ნახევრად ბნელი. კალათბურთის დარბაზის კიბე მაღალი ბიჭის სილუეტმა აიარა და კარებში გაუჩინარდა. სულ უფრო ჩქარ-ჩქარა იღება და იხურება კარი. განათებული დარბაზის შუაგულში ნელა დააბიჯებს ორი კაცი — რაღაცას აწყობენ, რაღაცისთვის ემზადებიან. ფოიეს ერთ კუთხეში ვარჯიშის განრიგია გამოკრული. დღევანდელი დღისა და „მართვეს“ გადაკვეთაზე 8.00 წერია.

რვა ჯერ არ იყო შესრულებული, პირველი ბურთი რომ აზმაურდა იატაკზე. თანდათან იმატეს ბიჭებმა და ბურთებმა.



დილის ვარჯიშს პეტრე კრასნოვი ხელმძღვანელობს.

ამასობაში მწვრთნელებიც მორჩნენ სამზადისს. მძიმე ბურთებს ჩუმად, ცოტა უხალისოდ ვაგორდნენ დარბაზის კუთხეებისაკენ — ეს დილა საერთო ფიზიკურ მომზადებას ეთმობა. უკვე მესამე თვეა დილის ვარჯიშებს მძლეოსანი პეტრე კრასნოვი ხელმძღვანელობს.

ეს იდეა „მართვეში“ დაიბადა. სასტარტო სისწრაფე, მაღალი ხტომი და კიდევ ბევრი რამ აქვთ საერთო მძლეოსნობასა და კალათბურთს. „კარგი კალათბურთელი კარგი მძლეოსანი უნდა იყოს“, — ასე ფიქრობს გუნდის მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი და ამიტომაც მოიწვია „მართვეში“ კაცი, რომელსაც ექვსი სპორტის ოსტატი ჰყავს გაზრდილი სიმაღლეზე ხტომაში.

ვარჯიში გრძელდება. ნებისმიერ მოძრაობასა თუ ილეთს პირველი კრასნოვი აკეთებს, მერე ბიჭებიც იმეორებენ. იმეორებენ და მერე როგორ! კრიალა იატაკზე მარგალიტებივით აბრჭყვიალდა ოფლის წვრილი წვეთები.

ერთ მწვრთნელს უთქვამს, საქმეს მშობლებთან საუბრით ვიწყებ, თუ მომეწონა, ხომ კარგი, თუ არა და, ბავშვის ჯგუფში მიღებას აზრი არცა აქვს, მაინც არაფერი გამოვა. მშობლების, განსაკუთრებით კი მამების დაინტერესებას სპორტით მართლაც საოცარი შედეგები რომ მოსდევს, „მართვეს“ მაგალითზეც მშვენივრად ჩანს. შალვა ცხვედიანის მამამ ბიჭიკო ცხვედიანმა კიროვის პარკის კალათბურთის ბაზის გამგედ დაიწყო მუშაობა, დათო თორთლაძისა და ალეკო ქილიკაურის მამები კი კალათბურთის მწვრთნელებად „იქცნენ“.

ბორის თორთლაძის ჯგუფს საათნახევრის შემდეგ ეწყება ვარჯიში, მაგრამ მწვრთნელი კარგა ხანია დარბაზშია. „მართვეზე“ ჩამოვუგდეთ სიტყვა:

**— როცა ამგვარი კლასის შექმნის იდეა გაჩნდა, ბევრმა საპირისპირო აზრი გამოთქვა — იმიზეზებდნენ, ბავშვები დაიტვირთებიან, თავისუფალი დრო არ დარჩებათო. ალბათ იმას გულისხმობდნენ, რომ ცურვაზე, ჩოგბურთზე, ხატვაზე, ცეკვაზე, უცხო ენებზე ველარ ივლიდნენ. კარგი, ამისთვის არ სცალიათ, მაგრამ ვარჯიშისა და მეცადინეობისთვის დრო ნამდვილად ჰყოფნით. რაც შეეხება დატვირთვას, მათ ასაკში ეს სახიფათო კი არა, აუცილებელია. თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ყმაწვილმა მოზღვავებული ენერგია აუცილებლად უნდა დახარჯოს, საამისოდ კი სპორტზე უკეთესი ასპარეზი ძნელად მოიძებნება.**

**უკვე რამდენიმე წელია მათი ვარჯიში არ გამიცდენია, რამდენიმე ტურნირზეც ვყოფილვარ მათთან ერთად. მიხარია, რომ დათოს ახეთი კარგი მწვრთნელი და მეგობრები ჰყავს. კალათბურთი ყველაფერს ურჩევნიათ, მაგრამ არ იფიქროთ, რომ სხვა არაფერი აინტერესებთ. შალვა ცხვედიანი ლიტერატურით არის გატაცებული, მამუკა ტურაშვილი — ტექნიკით, კახა ორმოცაძე ხატავს, დათო ამ ბოლო დროს საქართველოს ისტორიამ დააინტერესა, მგონი რაღაცეებს წერს კიდეც... საერთოდ, დათოს ძალიან უყვარს მუსიკა, წლეულს შეიძლებლად ამთავრებს და მისი მასწავლებელი მეუბნება, თუ ძალიან კარგი კალათბურთელი არ არის, გამოიყვანეთ, მისგან საუცხოო პიანისტი დადგებაო.**



...ისევ აზმაურდა ბურთები. ვეებერთელა ფანჯრებს იქით სინათლემ იმატა. დღე ნელ-ნელა იკრებს ძალას. კალათებში კი ერთიმეორის მიყოლებით ეშვება მძიმე ბურთები.

ვარჯიში ბევრი გვინახავს, მაგრამ კაცი „მართვეს“ რომ უყურებ, რაღაც გაუცნობიერებელი გრძნობა გებადება. ეს სულ სხვა გუნდია. რა თქმა უნდა, იცი, რომ ისინი ერთ სკოლაში, ერთ კლასში სწავლობენ, მთელი დღე ერთად არიან. შესაძლოა, ესეც არის რაღაც საოცარი ერთიანობის შეგრძნების მიზეზი. შესაძლოა, მაგრამ მაინც გებადება სურვილი უშუალოდ მათგან, თუნდაც ერთი რომელიმესაგან შეიტყო, რა, რატომ და როგორ მოხდა... აი, თუნდაც ეს მაღალი, წაბლისფერთმიანი ჭაბუკი.

ზურაბ ონიანი მორიდებით მოგვიახლოვდა, ბურთს, რა თქმა უნდა, ვერ შეელია. მორიდებითვე გვპასუხობს, საუბარში აქა-იქ რამდენჯერმე წამოსცდა — დიახ, მასწ! — მერე ეშმაკური ღიმილი გაუკრთებოდა, იმწამსვე შეიკავებდა და თვალი ისევ ბიჭებისკენ გაექცეოდა.

**— შესაძლოა სამი-ოთხი წელი ბევრი არ არის, მაგრამ ჩემი და ჩემი მეგობრების დასაახლოებლად საკმაო დრო გამოდგა. ჩვენი პარალელური კლასების ბავშვები უფრო ახლოს იცნობენ ერთმანეთს, მეგობრობენ, ჩვენ კი ცოტა იზოლირებული ვართ მათგან, მაგრამ სამაგიეროდ ერთმანეთი ისე შევიყვარეთ, ახლა ვერც წარმომიდგენია, რომ რომელიმე სხვა კლასში ვსწავლობდე.**

**კალათბურთი პატარაობიდან მიყვარს. იმის გარდა, რომ თვითონ თამაში დიდ სიამოვნებას მანიჭებს, თითქოს ცხოვრებაც უფრო საინტერესო გახდა. ვმოგზაურობთ, ბევრ რამეს ვნახულობთ, ბევრი სახალისო ამბავიც გადაგვხდენია. მახსოვს, ორი წლის წინ კაუნასში ვიყავით. ამხანაგური მატჩი გვქონდა მასპინძელ გუნდთან. შედეგს პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ თამაში ძალიან დაძაბული გამოდგა. წაგება არავის უნდოდა და, რომ იტყვიან, ქულა ქულაზე მიდიოდა. მასპინძელთა ერთი შეტევის დროს ჩვენმა ფარმა ბურთი აისხლიტა. უცებ გავიგონეთ თამაზ მასწავლებლის ყვირილი, ახტი, ახტიო! არეკნილი ბურთი ლადო კუპატაძემ მოიგო, ტყორცნა, მაგრამ... ჩვენს კალათში. თუმცა, მაინც გავიმარჯვეთ...**

**თქვენ გოგონებზე მკითხეთ. რა თქმა უნდა, უიმათობა მაინცდამაინც კარგი არ არის. ამაზე თითქმის არასოდეს ვლაპარაკობთ, მაგრამ ის, რომ სულ ბიჭების წრეში ვტრიალებთ, ალბათ საქციელზე გვეტყობა. მე კი არც და მყავს და, თუ შემთხვევით გოგონების გვერდით მოვხვდი, უხერხულად ვიშმუშნები, ალბათ ვწითლდები კიდეც.**

ორიოდე საათის შემდეგ ზურაბ ონიანი ფორმულებით აჭრელებულ დაფასთან იდგება. კალათბურთის მოედანს საკლასო ოთახი შეცვლის, ბურთს — ცარცი, უფროს მწვრთნელს — მათემატიკის მასწავლებელი. ჯერ კი, მართალია, ცოტა დაიღალნენ, მაგრამ ვარჯიშის ბოლომდე მიყვანაა საჭირო.

## 10 საათი და 15 წუთი.

## კიროვის პარკი

ნაცნობი კიბე საკალათბურთო დარბაზის შესასვლელთან. ნაცნობი ბიჭები. ორსაათიანი ვარჯიშითა და ცხელი შხაპით შემსუბუქებული, მშვიდი და მკვრივი სპორტული ნაბიჯი. გაგანიერებული ფილტვები კი არ ისუნთქავს, ნთქავს ჟანგბადს. გამვლელთა ცნობისმოყვარე, აღტაცებანარევი მზერა კარგა ხანს მიაცილებს ტაატით შიმავალ ტანმაღალი ბიჭების გუნდს...

ყველგან, ყველა საქმეში ლიდერია საჭირო. ლიდერი ჰყავს ნებისმიერ კლასსაც. „მართვე“ გამონაკლისი არ არის და კითხვა-კითხვამ გიორგი ქართველიშვილამდე მიგვიყვანა.



— ლიდერი? გამორჩეული არავინ გვყავს. ყველანი ერთად ვართ.

— როგორ ჩამოყალიბდა „მართვე“?

იხ. მე-2 გვ.

## ელვა-ინფორმაცია

**სასიხარულო** ცნობა მოვიდა მორდოვიის ოლქის ქალაქ სარანსკიდან, სადაც გაიმართა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა 1967-1968 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. საქართველოს სპორტსმენებმა კარგად იასპარეზეს და რსფსრ-ის გუნდის შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. მესამე იყო უზბეკეთის ნაკრები. ჩვენმა შვიდმა მოკრივემ მიიღო სხვადასხვა ხარისხის მედალი: ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა ფოთელი სერგეი კაპლინი (48 კგ), II ადგილებზე გავიდნენ კამო ღარიბოვი (54), გია სადალაშვილი (57) და დავით ბახტაძე (63,5). III ადგილები მოიპოვეს ბესო გურჯიამ (67; ოთხივე — თბილისი), მოსე გოლოძემ (75) და ალექსანდრე გვენცაძემ (91; ორივე — ქუთაისი). ამ შეჯიბრების შესახებ ვრცლად ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გესაუბრებით.

## ჭადრაკი

**ანგოლის** დედაქალაქ ლუანდაში მთავრდება ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რამდენიმე ქვეყნის 16 მოჭადრაკე მონაწილეობს.

კვლავ ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები — დიდოსტატი ნონა გაფრინდაშვილი და საერთაშორისო ოსტატი ელიზბარ უბილავა, რომელთაც 13 ტურის შემდეგ 11,5-11,5 ქულა აქვთ. ლიდერებს ნახევარი ქულით. ჩამორჩება იუგოსლაველი ოსტატი დიზდარევიჩი.

## კალათბურთი

**გაიმართა** კალათბურთელთა ევროპის ტურნირების მორიგი კალენდარული მატჩები.

**მოსკოვი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ ძლიერად ჩაატარა შეხვედრა იტალიის „ბანკო დი რომასთან“. ბრძოლის ბედი ფაქტიურად პირველსავე ტაიმში გადაწყდა, რომელიც არმიელებმა 10 ქულით მოიგეს — 48:38. ინიციატივას საბჭოთა კალათბურთელები შესვენების შემდეგაც ფლობდნენ და საბოლოოდ ანგარიშით 97:77 გაიმარჯვეს.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი შეხვედრა, რომელიც შარშან დეკემბერში ჩატარდა, იტალიელებმა მოიგეს — 74:71.

**სარაგოსა.** ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ურთიერთობას არკვევენ ნახევარფინალისტები, ჩვენ ვწერდით კაუნასის „ჟალგირისისა“ და საფრანგეთის ასველ-ის მატჩის შესახებ, რომელიც საბჭოთა კალათბურთელებმა მხოლოდ 6 ქულით მოიგეს.

მეორე ნახევარფინალური წყვილი სარაგოსაში თამაშობდა. ადგილობრივმა კაი-მ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „ბარსელონა“ — 84:79 (50:42).

## ფეხბურთი

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრებმა ფლორენციაში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან (ასაკი — 21 წლამდე). თამაში დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:0, ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს ალეინიკოვმა და გავრილოვმა.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, ლარიონოვი, ბოროვსკი, ბალტაჩა, დემიანენკო, ალეინიკოვი, ზიგმანტოვიჩი, პროტასოვი (მალო), ლიტოვჩენკო, გავრილოვი (გოცმანოვი), სტუკაშოვი (დმიტრიევი).

# ბიჭები ორმოცდამეცამეტე სკოლიდან

(გაგრძელება)

— სხვადასხვა სკოლებში მოაგროვეს ბავშვები. მესამე კლასში ვიყავით. თამაზ ოქრუაშვილი და გია მიქაძე ფიზკულტურის გაკვეთილზე მოვიდნენ. თითქმის მთელი



გიორგი ქართველიშვილი

კლასი ჩავეწერეთ. იქიდან სამნი შევრჩით გუნდს — ზვიად კოტრიკაძე, დათო ღლონტი და მე.

— მასწავლებლებიდან ვინ გიყვართ?

— ლეილა კაჭარავა, თამარ ბურჯანაძე, გელა ლეჟავა... რა ვიცი, ისეთი არავინ გვასწავლის, არ გვიყვარდეს. ეტყობა, ეს იმის „ბრალია", ყველა, როგორც თანასწორი-თანასწორს, როგორც ადამიანი-ადამიანს, ისე გვექცევა.

— ამბობენ, თამაზ მასწავლებელი გამორჩეულად გიყვართო.

— ეგრეა, მაგრამ მიზეზს ვერ გეტყვით — არ ვიცი. ანდა, რა მიზეზი უნდა სიყვარულს...

— თქვენს ექსპერიმენტზე რას იტყვი?

— ექსპერიმენტმა გაამართლა. გაამართლა თუნდაც იმიტომ, რომ თითოეულ ჩვენგანს ოცდაერთი მეგობარი ჰყავს, ოცდაერთი ნამდვილი მეგობარი.

— კიდევ ცოტაც და დიდ სპორტში შედგამთ ნაბიჯს...

— „მართვეს" ყველა წევრი თბილისის „დინამოში" მოხვედრაზე ოცნებობს. თუ კარგად ვივარჯიშებთ, სულ ცოტა ხუთი კალათბურთელი მაინც ითამაშებს ჩვენს პირველ გუნდში. გაისად საბჭოთა კავშირის პირველობაზე უნდა გამოვიდეთ ჩვენს ასაკში. გვინდა და ალბათ უნდა გვქონდეს კიდეც პრეტენზია, რომ ჩემპიონები გავხდეთ.



ვარჯიში ახლახან დამთავრდა. მხიარულ საუბარში უცებ დაილევა გზა კიროვის ბაღიდან სკოლამდე

## 10 საათი და 30 წუთი.

## 53-ე საშუალო სკოლა

მეორე სართულზე, კიბეს აივლით თუ არა, იქვე, მარჯვნივ არის „მართვეს" საკლასო ოთახი. აქ ახლა მედეა მეტრეველი ფიზიკის გაკვეთილს ატარებს. გაკვეთილის დამთავრებამდე საკმაო დროა. მანამდე სხვა საგნების მასწავლებლებს ვესაუბრებით.

თამარ ბურჯანაძე ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის მე-8 ექსპერიმენტულ კლასს:

— როცა ლაპარაკია თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ბიჭებზე, თითქმის არასოდეს ვამბობთ, რომ საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ, ზრდადასრულებულ ყმაწვილებთან, პიროვნებებთან, ვისაც უკვე ალარაფერი ეშლება და არც არაფერი ესწავლება.

თქმა არ უნდა, ამ ბავშვებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ნახონ, განიცადონ და ისწავლონ, მაგრამ უკვე კარგი ადამიანები რომ არიან, ეს საკამათო არ არის.

მშობლიური ენა და ლიტერატურა ის საგანია, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია კაცად აქციოს მოზარდი. ვერ დავიჩემებ, რომ ამ ბავშვების სული ალვზარდე — მათ მე სექტემბრიდან ვასწავლი — მაგრამ ძალიან მიხარია, რომ ჩემმა ყოფილმა მოწაფემ და მათმა ქართულის მასწავლებელმა კოტე გაბაშვილმა საამისო საფუძველი ფაქტიურად მომზადებული დამახვედრა.

მე ვიცი, რომ ისინი ბევრს ვარჯიშობენ, სამეცადინო დრო ნაკლები რჩებათ და ვცდილობ გაკვეთილის ორმოცდახუთი წუთი მაქსიმალურად გამოვიყენო, სკოლაშივე ვასწავლო ის ძირითადი, რომლის უცოდინარობა არ შეიძლება.

მოზარდის სულს მსუყე საზრდო სჭირდება. ლიტერატურას შეუძლია ამგვარი საზრდოს ფუნქციები იკისროს. ჩემს მოწაფეებს ძალიან უყვართ მხატვრული ლიტე-



თამარ ბურჯანაძე

რატურა და ბევრსაც კითხულობენ. ამას რომ ვხედავ, მინდა ხელი შევუწყო, სწორი გეზი მივცე მათ ინტერესებს — წიგნებს საგანგებოდ ვურჩევ, დრო რომ არ დაკარგონ, სახლიდან მომაქვს, ერთმანეთს გადასცემენ, მთელი კლასი კითხულობს და მერე ერთად ვარჩევთ, ვკამათობთ... ვგრძნობ, რომ მუშაობის ამგვარი მეთოდი კიდევ უფრო ადუღაბებს მათ ისედაც სანიმუშო მეგობრობას. ეს მეგობრობა კი, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, მათი სპორტსმენობიდან მოდის. რამდენიმე წლის სისტემატურმა ვარჯიშმა, შეჯიბრებებმა, ზიარმა ჭირმა და ლხინმა მათში რაინდები, ვაჟკაცები ჩამოაყალიბა.

ძნელი სათქმელია, როგორი იქნება მათი სპორტული მომავალი, მოხვდება თუ არა რომელიმე „დინამოში" — ვიცი, რომ ეს თითოეული მათგანის სანუკვარი ოცნებაა — მაგრამ ფაქტია: სულით და სხეულით ჯანსაღ ადამიანებად იზრდებიან და მთავარიც ეს არის.

სამასწავლებლოშივე მოვინახულეთ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლეილა კაჭარავა.



— რა დასამალია და, სპორტული კლასის შექმნა ყველას არ გაახარება. ოპოზიცია იგრძნობოდა ყველგან — პარალელური კლასების მოსწავლეებში, მათ მშობლებში და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმ მასწავლებლებში, ვისაც მიაჩნია, რომ ბავშვს მხოლოდ სწავლა ევალება.

ახლა, როცა ექსპერიმენტის დაბადებიდან ოთხი წელი გავიდა, და, როგორც ამბობენ ხოლმე, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა, ის უხერხული უსიამოვნებაც გაქრა, ოპოზიციონერებიც დაწყნარდნენ... როგორც ჩანს, ექსპერიმენტმა გაამართლა — გუშინდელი ბავშვები ჩვენს თვალწინ პატიოსან, კეთილშობილ, შეუპოვარ, ნებისყოფიან ბიჭებად ჩამოყალიბდნენ.

მოსმენილს მაინც ნანახი ჯობს. სკოლის დირექტორის ლამარა მარგველაშვილისაგან ნებართვა ავიღეთ მათემატიკის გაკვეთილს დავსწრებოდით. ეს არ იყო საგანგებოდ სტუმართა საჩვენებლად შერჩეული გაკვეთილი, ისეთი, როცა მასწავლებელიც და მოსწავლეებიც მზად არიან ჩვეულებრივზე



მოედნის მაგივრად — დაფა, ბურთის მაგივრად — ცარცი... გია კაკაბაძე ახლა მათემატიკურ აზროვნებას უმოწმებს ზურაბ ონიანს

უკეთესი შთაბეჭდილება შექმნან. ჩვენი სტუმრობა მოულოდნელი იყო და ყველაფერს, რაც იქ ვნახეთ, რაღა თქმა უნდა, უშუალობის ბეჭედი ესვა.

სულაც არ ვაპირებთ იმის თქმას, რომ გიგა კაკაბაძის გაკვეთილზე იდეალური წესრიგი სუფევდა, რომ, როგორც იტყვიან, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი... თუ სიმართლეა, ეს არც არის სკოლის დანიშნულება, სწავლების მიზანი. ის გვინდა ვთქვათ, რომ ეს არ არის მთავარი, ეს არ არის ცოდნის შეძენის მთავარი პირობა. მათემატიკის გაკვეთილზე იყო რეპლიკებიც, კვიმატი შეკითხვებიც, მაგრამ...

გიგა კაკაბაძის გაკვეთილს ეგრეთ წოდებული ტემპიანი მეთოდი ახასიათებს. პედაგოგს დროის მოგების მიზნით ერთდროულად რამდენიმე ხაზით მიჰყავს გაკვეთილი. ერთს დაფასთან ამოწმებს, მეორეს მერხიდან სთხოვს პასუხს, მესამეს პირველ სემესტრში გავლილ მასალას ეკითხება. სუსტი ან თუნდაც საშუალო კლასი ასეთ ტემპს ვერც აჰყვება და არც აჰყვება.

დათო ზიბზიბაძეს რაღაცაზე ეცინებოდა, როცა მასწავლებლის შეკითხვა მისწვდა... პასუხი ზუსტი გამოდგა. ამასობაში დაფასთან გამახვებულმა ონიანმაც დაასრულა მაგალითის გამოყვანა. ქართველიშვილი ერთი-მეორის მიყოლებით იხსენებს ხარისხისნიშნიანი ფუძის თვისებებს...

მასწავლებელი რაღაცით მაინც უკმაყოფილოა. ეს უკმაყოფილება ნიშნებშიც ისახება და, როგორც პროტესტი, ისე ისმის უკანა მერხიდან: „მასწ, დღეს რა მკაცრი ხართ!"

როგორ ჰგავდა ეს რეპლიკა-საყვედური ქართველიშვილის დილანდელ ნათქვამს: ისე გვექცევიან, როგორც თანასწორები თანასწორებსო. უხეირო მასწავლებელს ვერც გაუბედავენ და არც გააბედვინებს ვინმეს აზრის ასე თავისუფლად გამოთქმას.

გაკვეთილის მერე, როცა თავის მერვეკლასელებზე ლაპარაკობდა, გიგა კაკაბაძეს „სიმკაცრის" ნატამალიც აღარ ეტყობოდა.

— ამ კლასის შექმნის იდეაში უკვე არის რაღაც განსაკუთრებული — ბავშვებს სწავლის, ვარჯიშის, დასვენების და, თუ გნებავთ, კვების განსხვავებული პირობები აქვთ. მოზარდის ფსიქიკა კი ძალზე მგრძნობიარეა. როგორ ეგუებიან თქვენი მოწაფეები მინიჭებულ პრივილეგიებს?

— პირველ ყოვლისა, გავარკვიოთ, არის თუ არა ეს პრივილეგია.

თქვენ იცით, რომ ბიჭებს დილით ორ საათს ვარჯიშობენ, იქიდან პირდაპირ სკოლაში მოდიან, ხუთ-ექვს გაკვეთილს ესწრებიან, მერე მიდიან შინ, ისვენებენ და მეცადინეობენ — ამისთვის მათ ოროსამი საათი აქვთ, საღამოს — ისევ ვარჯიში. ასეა ყოველდღე, სისტემატურად. ამას ემატება შეკრებები, შეჯიბრებები... მოკლედ, დღის რეჟიმი ისეთი აქვთ, რომ სანებავროდ ნამდვილად არ სცალიათ. თვეები გადის, კინოს ვერ ნახულობენ, კონცერტს ვერ ესწრებიან... ნათქვამიდან უკვე ცხადია, რომ მათთვის მინიჭებული პრივილეგიები მათივე დიდი შრომით არის გაწონასწორებული.

როცა განსხვავებულ პირობებზე ვლაპარაკობთ, ჯერ ყველაზე მთავარი უნდა ვახსენოთ: კლასში მხოლოდ ბიჭები არიან. და არა მგონია ეს დეტალი უმნიშვნელო იყოს ვინმესთვის, მით უმეტეს, თვად მერვეკლასელებისთვის. არ ვიცი, იქნებ მათ აქვთ საფუძვლით ბუნებრივი მოთხოვნილება კლასში ჰყავდეთ მეგობარი გოგონები, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამის გამო დაჩაგრულად გრძნობენ თავს, პირიქით, რაინდობაში არამც და არამც არ ჩამორჩებიან თავიანთ ტოლებს.

ამ კლასს მე შექმნის დღიდან ვასწავლი და ალბათ მაქვს უფლება ვილაპარაკო ექსპერიმენტის ღირსებაზეც და ნაკლზეც.

სხვებთან შედარებით ეს ბავშვები უფრო მობილიზებული და ორგანიზებული არიან, კოლექტივიც უფრო შეკრული და მყარია. ეს, რასაკვირველია, თვით ამ კლასის შექმნის იდეიდან, ბავშვების საერთო მიზნიდან გამომდინარეობს. სპორტის კეთილი კვალი და გავლენა ეტყობა თითოეულ მათგანს — იციან გამარჯვების ფასი, მარცხის სიმწარე, მეგობრობის ყადრი, ერთმანეთისთვის თავდადება, მოთმენა...

თქვენ ალბათ მათი აკადემიური მოსწრებაც გაინტერესებთ. ამ მხრივ სხვებთან შედარებით ვერავითარ განსხვავებას ვერ ვამჩნევ. ჩვეულებრივი კლასია — არიან ნიჭიერებიც, საშუალოებიც, სუსტებიც, ზარმაცებიც... მეტსაც გეტყვით — ეს ბავშვები განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემების ნიშნით არიან შერჩეული და თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ აკადემიური მოსწრებით ვერ დაიკვეხნიდნენ (აქ მე მათ გადატვირთულ დღის რეჟიმს ვგულისხმობ). შესაძლოა ბედნიერი შემთხვევის ბრალია, მაგრამ ფაქტია: კლასის ბირთვს — ეს კი მის ნახევარზე მეტია — ძალიან კარგად შეუძლია სწავლა და არც ვემდური.

თუ ჩემს აზრს რაიმე მნიშვნელობა აქვს, ნათქვამიდან ალბათ გამომდინარეობს, რომ მომხრე ვარ ასეთი სპორტული კლასებისა, ოღონდ ერთი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: მათგან სრულ მობილიზებას ითხოვენ მწვრთნელებიც, მშობლებიც, მასწავლებლებიც. გამუდმებით სტარტზე დგომა ძალზე ძნელია ზრდასრული ადამიანისთვისაც. ისინი კი ჯერ მოზარდები არიან. ამიტომ მგონია, რომ გადასახედია სწავლების მეთოდი. რასაკვირველია, უნდა მივაწოდოთ პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი, მაგრამ სასურველია უფრო კომპაქტურად. მაგალითად, კარგი იქნება, თუ მათემატიკაში საშინაო დავალებას შედარებით მცირე დოზით მივცემთ, არ გადავტვირთავთ მეორეხარისხოვანი სავარჯიშოებით, ზოგიერთ თეორემას დამტკიცების გარეშე ვასწავლით...

„მართვეს" საკლასო ოთახთან გოგონების კარგა მოზრდილი ჯგუფი დგას. რაღაცაზე ძალიან სერიოზულად ლაპარაკობენ, მზერა კი ღიად დარჩენილი კარისკენ გაურბით. პირველ შესვენებაზეც ასე იყო, მეორეზეც...

— აქ სულ ასეა, — ღიმილით გვეუბნება გივი ბიბილური, სპორტული კლასის აღმზრდელ-მასწავლებელი. — არ ვიცი, მაგნიტი აქვს თუ თაფლი სცხია ამ ოთახს.

შიგნით კი, საკლასო ოთახში,



მათემატიკის გაკვეთილი

ბიჭებს პატარა პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი. ისინი აქვე, სკოლაში სადილობენ. ყოველდღე მორიგეობით „აწყობენ სუფრას".

— ტურა წავიდეს, კახელებმა კაი პურ-მარილი იციან.

მამუკა ტურაშვილს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია.

ამასობაში იმათი თანატოლები მორჩნენ სასკოლო საქმეებს და სახლებში გაიკრიფნენ. მერვე ექსპე-



გივი ბიბილური

რიმენტულს გვიან ეწყება გაკვეთილები და გვიანვე უმთავრდება. განსაკუთრებით ბოლო ორი გაჭიმება და გაგრძელდება ხოლმე.

დღეს ისტორიის გაკვეთილი არ არის ცხრილში. ბედად, გელა ლეჟავა, ისტორიის მასწავლებელი, სკოლაში აღმოჩნდა...

— როცა ამ ბავშვების მასწავლებელი გავხდი, ვიგრძენი, რომ ისტორია უყვარდათ, რაც მთავარია, მისი მნიშვნელობა ესმოდათ და ამაზე საუბარი არ დამჭირვებია. მართალია, ისტორიის მიმართ ის ძველი ინტერესი როგორღაც გაფერმკრთალდა, უფრო სწორად, რამდენიმე ბავშვსღა შერჩა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ არის სპორტის ბრალი — ახლა ისინი იმ ასაკში არიან, როცა მოზარდი მეტ-ნაკლებად ინდიფერენტული ხდება ყველაფრის მიმართ. დარწმუნებული ვარ, მათი გულგრილობა დროებითია და, ამდენად, მოსათმენიც.

ის ფაქტი, რომ გამორჩეულად პატიოსანი და ალალ-მართალი ბიჭები არიან, სრულებით არ არის გასაკვირი. ეს პირობა თვით ექსპერიმენტის არსშია დევს — ყველა ის კარგი თვისება, რაც მათ ვარჯიშით გამოუმუშავდათ, რაც მოედანზე თამაშში სჭირდებათ, ცხოვრებაშიც გადმოჰყვათ.

ამ ასაკის ბავშვები ხშირად საიდუმლოდ ჩურჩულებენ, რაღაცას გულში ინახავენ, ან მხოლოდ ერთადერთ მეგობარს უმხელენ. ეხე-

იხ. მე-3 გვ.

(დასასრული)

[...]ა ამ მხრივაც გამოირჩევიან — ხა[...]ცოიველად გულახდილები არიან. [...]რაფერს დამალავენ. ასევე იქცე[...]იან მწვრთნელებთან, მშობლებ[...]თან...



გელა ლეჟავა

სხვა რა ვთქვა... კარგ ნიშნის მიღება უხარიათ, ცუდი — ბუნებრივია, ხწყინთ, თუმცა, უმეტესობა მაინც ობიექტურია — პრეტენზიები შესაძლებლობების შესაბამისი აქვთ.

## 15 საათი და 00 წუთი.

53-ე სკოლის ეზო. სკოლის შენობის გვერდით სავა დასრულდება ოთხსართულიანი სახლის მშენებლობა, მშვენიერი საკალათბურთო და სააქტო დარბაზით, სასადილოთი და საკლასო ოთახებით. მალე აქ გადმოვლენ მერვე და მეშვიდე ექსპერიმენტული სპორტული კლასები...



58-ე სკოლის სპორტული ცენტრი

სკოლის კარებთან დროებით, სულ ხუთი საათით ემშვიდობებიან ერთმანეთს ბიჭები. რვა საათზე მეორე ვარჯიში აქვთ კიროვის პარკში. სალამოს ვარჯიშზე არ მოვლენ მხოლოდ გურამ და აჩიკო ლორთქიფანიძეები — ერთი ფეხბურთელია, მეორე — მოფარიკავე. ეს ხუთი საათი დასვენებისთვის, გაკვეთილების სასწავლად არის განკუთვნილი. აქამდე, სანამ ერთად იყვნენ, ასე თუ ისე ვახერხებდით მათთან ყოფნას, ახლა ეს შეუძლებელია. ისე კი, კარგი იქნებოდა მათი ოჯახების მონახულება, მშობლებთან, ახლობლებთან გასაუბრება. ისევ ამ მწვრთნელის სიტყვები გვახსენდება, სანამ ბავშვს მივიღებდე, მშობლებს ვესაუბრებიო. კაცმა რომ თქვას, „მართვეს" წევრებს ასეთნაირი შემოწმება აღარ სჭირდებათ. და მაინც, არაფერი დაშავდებოდა, გია სულხანიშვილისა და მალვა ცხვედიანის მამებს რომ შევხვედროდით — ისინი ხომ ყველაზე ახლოს არიან „მართვესთან" და, საერთოდ, სპორტთან.

— მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ და, ამ ბიჭების შემხედვარეს მართლა გაგიჩნდება სურვილი, რაც შეიძლება ბევრი იყოს ასეთი კლასი — გულწრფელად ნატრობს ბიჭიკო ცხვედიანი — ზოგი კალათბურთს იხწავლის, ზოგი — ჩოგბურთს, ზოგი — ფრენბურთს... შედეგად კი გვეყოლება ათობით, იქნებ ასობით ხანიმუშო ახალგაზრდა, ხანიმუშონი ხწავლაში, სპორტში...

თქვენ იცით, რომ ამ ბავშვებს ერთგვარად განსხვავებული პირობები შეუქმნეს, დადიან შეკრებებზე, შეჯიბრებებზე, სკოლაში უნივერსიტეტიდან და სხვა ინსტიტუტებიდან მოწვეული მასწავლებლები ასწავლიან. რაც უნდა იყოს, მაინც ბავშვები არიან და თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა გაყოყოჩებულიყვნენ, ქედმაღლურად შეეხედათ სხვებისთვის. პირიქით მოხდა — ბიჭები სულ იმის ცდაში არიან, მათდამი გამოჩენილ ყურადღებასა და მზრუნველობას სპორტში წარმატებებით და კარგი სწავლით უპასუხონ.

ირაკლი სულხანიშვილი: ვინ არ იცის, რომ ბავშვები ამ ასაკში სათბურის ყვავილებივით არიან — სულ ცოტა უყურადღებობაც კი ძალიან ძვირად გვიჯდება მშობლებს. არადა, საკმარისია ერთი შეხედვით უბრალო რამ — ჩავაბათ სპორტში და გულიც საიმედოდ საგულეს გვექნება — ძნელად, რომ სპორტსმენმა უკადრისი რამ ჩაიდინოს.

სამი წელია ვაკვირდები გიას და მის მეგობრებს და აშკარად ვხედავ, როგორ ჩამოუყალიბდათ მებრძოლი სული, პასუხისმგებლობის გრძნობა.

იქნებ გია დიდი კალათბურთელი ვერ გახდეს — მართალი გითხრათ, ამაზე არც ვფიქრობ — მაგრამ ღირსეული კაცი რომ იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ. მეტი არც არაფერი მინდა.

## 20 საათი და 00 წუთი.

## კიროვის პარკი

კიროვის ბაღში კარგა ხანია ჩამობნელდა. ნელ-ნელა იძინებს თბილისის ეს მყუდრო უბანი. კალათბურთის დარბაზის გაჩახჩახებულ ფანჯრებს მიღმა კი გახურებული ვარჯიშია.

მოედანზეა „მართვე". გამორბენი, ნახტომი... მძიმე ბურთები ხელზე გამობმულივით მიჰყვებათ ბიჭებს... ისევ გამორბენი, ისევ ნახტომი... მიშიკო ახვლედიანი, მიხა ჯალაღონია, მამუკა მარტიაშვილი, დათო უსტიაშვილი... ერთ დღეში ძნელია ყველას დახსომება, მით უფრო, რომ „მართვეში" 58-ე საკალათბურთო სკოლიდანაც არიან... მიშიკო კობეშავიძე, კახა ქართველიშვილი, მალხაზ ანდღულაძე... ყველა სახეს მართლაც ვერ დაიხსომებ, ისევ თამაზ მასწავლებელი გვეხმარება.

— ეს ივერ ჩხეტიანია. რამდენიმე დღის წინ ჩამოვიყვანეთ ამბოლაურიდან. ურიგო ბიჭი არ ჩანს, ვნახოთ... ეს ჩვენი მუსიკოსი და მომღერალი ლაშა რევაზიშვილი, დათო დევსურიშვილი, დათო გაგუა, ესეც უმცროსი ამირან სხიერელი, დათო...

— თორთლაძეს ვიცნობთ უკვე... თამაზ, თუ არაფერი დაშავდება, წუთშესვენება მოგვეცით...

— მეხუთე კლასამდე პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. მაშინ თამაზ მასწავლებელი პატარა კალათბურთელებს აგროვებდა და ჩვენთანაც მოვიდა. ძალიან მომწონდა ეს თამაში და სიამოვნებით ჩავეწერე.



დათო თორთლაძე

საგნებიდან საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა და მათემატიკა მიყვარს. მინდა უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე გავაგრძელო სწავლა.

მიხარია და მეამაყება, რომ ამ კლასში ვსწავლობ. როცა რომელიმე ქართულ გუნდს ვეთამაშებით, ყოველთვის მახსოვს, რომ „მართვეს" წევრი ვარ და ეს, რომ იტყვიან, ფრთებს მასხამს. როცა საქართველოს გარეთ გავდივართ, მაშინ ქართველი ვარ და მხოლოდ ის ვიცი, რომ არ უნდა შევრცხვე.

სულიკო თორთლაძე ავად რომ იყო, მამამ ჩემი ძმა და მე საავადმყოფოში წაგვიყვანა სანახავად. დიდხანს მელაპარაკა კალათბურთზე. ერთხელ ჩემი თამაშიც ენახა თურმე. ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

მართალია, სულიკო თორთლაძის მოწაფე არ ვყოფილვარ, მაგრამ მგონია, რომ მისი მოგვარეობაც ბევრს მავალებს. მინდა მისი გვარის საკადრისი კალათბურთელი ვიყო.

## 21 საათი და 45 წუთი.

საცაა დამთავრდება ვარჯიში და „მართვეს" ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღეც. დღეს გამოსადენი ოფლი უკვე გამოიდინეს ბიჭებმა. ხვალ ყველაფერი თავიდან დაიწყება... დილის რვის ნახევარზე უკვე დარბაზში იქნებიან თამაზ ოქრუაშვილი, გია მიქაძე და პეტრე კრასნოვი...

როგორღაც გვიძნელდება კიროვის ბაღთან, ჩვენი კალათბურთის ამ პატარა გულთან დაშორება. როგორღაც შევეჩვიეთ.... შევეჩვიეთ უნებლიეთ გაჩენილ იმედსაც: ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს პირტიტველა ჭაბუკები არიან ქართული კალათბურთის ახალი გაზაფხულის პირველი მახარობლები.

ნანა ჯოხარიძე.
ირაკლი ბერიაშვილი.

## მინაწერი:

ეს ამბავი გაზეთის დაბეჭდვამდე რამდენიმე საათით ადრე მოხდა. რედაქციის შენობის წინ, მიწისქვეშა გასასვლელში შუა ხნის კაცი წაქცეულიყო. ხანოვაგით სავსე ჩანთები იქვე ეყარა. გამვლელ-გამომვლელნი წამით შეანელებდნენ ნაბიჯს, ნაცნობი ხომ არ არისო, და გზას აგრძელებდნენ — ყველას სადღაც ეჩქარებოდა.

კიბეზე საყიდლებით დატვირთული ახალგაზრდა ქალი და მაღალი, შავგვრემანი ბიჭი ჩამოვიდნენ. ბიჭმა ჩანთა ნაჩქარევად შეაჩეჩა დედას, წაქცეულთან მივიდა, თავი აუწია და მშველელის იმედით მიმოიხედა. პირველი დედა მიეხმარა.

— ყურები დაუსრისე, მამუკა...

— თავი დაანებეთ, მთვრალი იქნება... — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

გრძნობა რომ დაუბრუნდა, ბიჭმა მისამართი ჰკითხა. მერე წამოაყენა, ტანისამოსი გაუფერთხა, ჩანთები წამოკრიფა, მხარში შეუდგა...

ამ სალამოს „მართვეს" ბიჭებს ვარჯიში არ ჰქონდათ, თავისუფალი იყო ვარჯიშისგან „მართვეს" ერთ-ერთი წევრი მამუკა მარტიაშვილიც...

• • •

მიხეილ მათველაშვილის
ფოტოები.



53-ე სკოლის დირექტორი ლამარა მარგველაშვილი:

კარგი მოქალაქე რომ აღზარდო, თვითონ უნდა იყო ღირსეული ადამიანი. ეს ბიჭები რომ სანიმუშონი არიან სკოლაშიც, ოჯახშიც, ქუჩაშიც, ვარჯიშზეც, შეჯიბრებაზეც, პირველ რიგში მათი შესანიშნავი მწვრთნელების თამაზ ოქრუაშვილისა და გია მიქაძის, აღმზრდელ-დამრიგებლის გივი გიბილურის და, რა თქმა უნდა, თითოეული მასწავლებლის დამსახურებაა.



თამაზ ოქრუაშვილი გამორჩეულად უყვართ „მართვეებს".



გუშინდელი ბიჭები შეუმჩნევლად იქცნენ ვაჟკაცებად

დღეს ბაკურიანი საქვეყნოდ ცნობილი სამთო კურორტი და სპორტული ცენტრია. აქ ალბათ უკვე ყოფილა ზამთრის სპორტის ასეულ ათასობით მოყვარული და გულშემატკივარი, ამდენივე და შეიძლება ბევრად მეტიც კი ჯერ კიდევ ოცნებობდეს ამ ულამაზეს კუთხეში სტუმრობაზე. მაგრამ.... როგორ და რით დაიწყო ბაკურიანის თავგადასავალი? ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა პატარა სოფელს, უხსოვარი დროიდან რომ გაშენდა ამ ადგილებში, არამედ სწორედ სპორტულ ბაკურიანს, ზამთრის სპორტულ ბაკურიანს, ზამთრის სახეობათა ცენტრს.

...1934 წლის დეკემბრის პირველი რიცხვები იყო. ყაზანის ვაგზლის ბაქანზე „მოსკოვი—ტიფლისის“ მატარებელთან ცხრა ახალგაზრდა იდგა. ხელში ცხრავეს თხილამურები ეჭირა... მგზავრები განცვიფრებულნი შესცქეროდნენ ამ ჯგუფს — იმხანად სამხრეთში სულ სხვა აღჭურვილობითა და მორთულობით მიემგზავრებოდა ხოლმე ხალხი. მაგრამ გასაკვირი არაფერი იყო: ეს გახლდათ პროფკავშირების ნაკრები თხილამურებით ხტომასა და სათხილამურო ორჭიდში. მახსოვს, საკავშირო პროფსაბჭოს ფიზკულტურის განყოფილების თანამშრომელმა ედუარდ გრომადსკიმ გაცილებისას გვითხრა:

— თქვენ ბაკურიანში მიემგზავრებით. მართალი გითხრათ, ჩვენ იქაურობას არ ვიცნობთ. მაგრამ ქართველი ამხანაგები გვარწმუნებენ, რომ სავარჯიშოდ კარგი ადგილია. ეს კია, ბაკურიანში ტრამპლინი არ არის და ალბათ თქვენ თვითონ მოგიხდებათ აგება.

მგზავრობა დიდხანს გაგრძელდა. თბილისში ბაქოს გავლით ჩავედით. იქ ადგილობრივ მატარებელში ჩავსხედით, რომელმაც ბორჯომამდე ჩაგვიყვანა. ბორჯომი გაზაფხულის ქუჩქუნა წვიმით შემოგვეგება — თოვლის ნაკვალევიც კი არსად ჩანდა. თხილამურებით შეიარაღებული ჩვენი ჯგუფი, მეტი რომ არა ვთქვა, კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ბორჯომის ვაგზლიდან მოშორებით, ვიწრო ლიანდზე იდგა რაღაც სასაცილო შემადგენლობა: რამდენიმე პაწია ვაგონი და ერთი ბეწო ორთქმავალი. აი, ამ „ეშელონს“ უნდა წავეყვანეთ ბაკურიანში. ბორჯომს გარს მკაცრი მთები შემოსჯარვოდნენ. მე ორთქლმავალთან მივედი, სკეპტიკურად შევათვალიერე და მემანქანეს ვკითხე:

— ავარიები ხდება აქა?

— ხდება, ვითომ რატომ არ უნდა მოხდეს? — ხელად ამიბა მხარი სიმპათიურმა ქართველმა.

შემადგენლობა ჩამოაყენეს. ჩვენ ერთი ვაგონი გავავსეთ და გავუყევით განსაცვიფრებელ რკინიგზას. ლიანდი სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. გაუგებარი იყო, რა ძალას მივყავდით. არადა, ღრუბლები, წელან რომ ჩვენს თავზე ირეოდნენ, ახლა სადღაც დაბლა დარჩნენ. სიცივე თანდათან მატულობდა. აგერ, თოვლიც გამოჩნდა — ჯერ მხოლოდ თხელ ფენად გადაჰკვროდა მიწას, მერე მომძლავრდა და სადგურ ლიკანის შემდეგ ნამქერებადაც დახვავდა.

ბაკურიანში გვიან ჩავედით. ვეებერთელა მთვარე ცისფერ შუქში ხვევდა ტანკენარ ნაძვებს და თოვლში ჩაფლულ პატარა სოფელს. ღრმა თოვლში გაკვალულმა ბილიკმა ორსართულიან ძელურ სახლთან მიგვიყვანა. ეს ტურბაზა იყო. შემოგვეგება ბაზის დირექტორი ბაქრაძე — ხმელ-ხმელი, ელეგანტური, ულვაშა ვაჟკაცი, წვერი დონ-კიხოტივით რომ დაეყენებინა.

შემდეგში ბაქრაძე ჩვენი დიდი მეგობარი გახდა. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ჩვენთვის წვრთნის პირობები შეექმნა. ტრამპლინის აგებაშიც დაგვეხმარა — ძელები მოგვცა, ლურსმნები გვიშოვა. იმ წლებში ალბათ ბაქრაძე იყო ერთადერთი, ვისაც ესმოდა, რა მომავალი ელოდა ამ პატარა, თოვლში ჩაკარგულ სოფელს.

ჩვენს გარდა ბაზაში კაცი არ იყო. ანდა ვინ ამოვიდოდა იმ ზამთარში? სამთო ფეხსაცმელი, თხილამურები, სამაგრები და კოსტიუმები მაღაზიებში გასაყიდად არ გამოჰქონდათ და არც აინტერესებდა ვინმეს. მთელ საბჭოთა კავშირში თხილამურებით ხტომას, სათხილამურო ორჭიდსა და სამთო-სათხილამურო სპორტს რამდენიმე ათეული ადამიანი თუ მისდევდა.

მაშინ ჩვენ ძალიან ბევრი ისეთი რამ არ ვიცოდით, რაც დღეს ყველასთვის ცნობილია. მაგალითად, არ ვიცოდით, რომ აკლიმატიზაციას დრო სჭირდება. ინათლა თუ არა, თოვლში გავცვივდით... და თითქმის მაშინვე ადგილზე გავშეშდით. სუნთქვა ჭირდა. ორი დღის მერე კოხტაზე დავაპირეთ ასვლა და... შუა გზიდან დავბრუნდით. ჩვენ არ ვიცოდით, რამდენად ულმობელია მზე მთებში, და მან პირველსავე დღეს გვასწავლა ჭკუა.

პირველ ყოვლისა, ტრამპლინი უნდა აგვეგო. ორი, ერთიმეორის თავზე აღმართული გორაკი შევარჩიეთ, ზედა გორაკს არეკნის ბაქანი მივუშენეთ და სულ მალე ორმოცმეტრიანი ტრამპლინი მზად იყო.

საუზმობისას კენჭი ვყარეთ — პირველი ვინ უნდა გადმომხტარიყო. ყველაზე მოკლე ჩხირი მე შემხვდა. კენჭისყრის მერე სულ წამერთვა მადა. ტრამპლინი გვარიანად დაბრეცილი იყო. გარბენის გორა კი მოკლე გამოდგა. დასახტომ ბაქნამდე კაცს შეიძლება ვერც მიეღწია. ეს კი, მოგეხსენებათ, მაინცდამაინც სასიამოვნო ფიქრებს ვერ აგიშლიდა. მე სასტარტო მოედანზე ავედი. ქვევით ჩემი მეგობრები იდგნენ და ნახტომს ინტერესით ელოდნენ... ბორცვს გადავაფრინდი და მშვიდობიანად დავეშვი. მაშინ კარგად არ მქონდა გათვითცნობიერებული, რომ ეს იყო პირველი ნახტომი ბაკურიანის ისტორიაში, ახლა კი, ორმოცდაათი წლის შემდეგ, ცოტა კიდეც ვამაყობ ამით.



# ბაკურიანი ასე იწყებოდა

## ზამთრის სახეობათა პოპულარულ ცენტრს ნახევარი საუკუნე შეუსრულდა

დადგა ახალი, 1935 წელი. ბევრს ვვარჯიშობდით და გვიხაროდა. ეს. საოცარი ამინდი იყო — ყოველდღე მზეზე ვიხრუკებოდით. მაგრამ აი, წასვლის დღე დადგა. გამოვემშვიდობეთ მასპინძლებს, ყველას, ვინც ბაკურიანში გავიცანით და შევიყვარეთ. მაგრამ თურმე მხოლოდ ორი დღით ვემშვიდობებოდით იქაურობას. როგორც გამოირკვა, თბილისში მომავალი კვირისათვის საგანგებო მატარებელი დაენიშნათ— თხილამურებით ხტომის სანახავად ხალხი ბაკურიანში მიდიოდა (ამ „სასწაულის“ ამბავი უკვე ჩასულიყო საქართველოს დედაქალაქში). გვეხვეწებოდნენ, დაბრუნდითო. აღარ გვინდოდა, მაგრამ რაღას ვიზამდით — მასპინძლებს უარს ხომ ვერ ვეტყოდით. დავბრუნდით და, უნდა გითხრათ, არც გვინანია.

ერთი დღის შემდეგ ბაკურიანში დიდძალი ახალგაზრდობა ჩამოვიდა — მხიარულები, ლამაზები, სიცოცხლით სავსენი. ჯერ თხილამურებით სრიალში ვავარჯიშებდით მსურველებს. როცა ყველაზე გაბედულებმა თოვლში კოტრიალით კარგად იჯერეს გული, პროგრამის მეორე ნაწილზე გადავედით; ჩამოსულებს ჯერ სლალომი ვუჩვენეთ, დასასრულს კი — თხილამურებით ხტომა. ნეტა გენახათ, რა ხდებოდა! შეკრებილთა განცვიფრება და აღფრთოვანება უსაზღვრო იყო! იმ დღეს ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინეთ. ზოგიერთთან ომის დაწყებამდე არ შემიწყვეტია მიწერ-მოწერა.

კიდევ ერთი დღის შემდეგ თბილისში ტრიუმფული შეხვედრა მოგვიწყვეს. გაზეთები აღწერდნენ ბაკურიანის ამბებს. თითოეულ ჩვენგანს პატარა ნარკვევი მიუძღვნეს და ფოტოებიც გამოაქვეყნეს. დავდიოდით ქალაქის ქუჩებში მზეზე გარუჯულები, ხალხი გვცნობდა და ალერსიანად გვიღიმოდა.

ახლა კი იმათ გაგაცნობთ, ვინც ნახევარი საუკუნის წინათ დღეს უკვე სახელგანთქმული სპორტული კურორტის პირველი ბილიკი გაკვალა.

შეკრების ხელმძღვანელი და მწვრთნელი გახლდათ ვიქტორ ანდრეევი, თხილამურებითა და ჰოკით ხტომის საუკეთესო ოსტატი. შემდგომში სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვიქტორ ანდრეევი მრავალი წლის მანძილზე სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო. გუნდში შედიოდა ოთხი ლენინგრადელი: პაველ დემენტიევი, — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხტომაში, შესანიშნავი მწვრთნელი, სერგეი ალექსეევი, ფიოდორ მარტინოვი და იგორ ჩაშნიკოვი. ჩაშნიკოვი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული სპორტსმენი იყო — მთამსვლელი და თხილამურებით მხტომელი. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ბაკურიანის შეკრებიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ მთებში დაიღუპა.

ჯგუფის დანარჩენი წევრები მოსკოველები იყვნენ: კონსტანტინ კრილოვი, რომელმაც შემდგომ თხილამურებით ხტომაში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, ცნობილი მხტომელი და ორჭიდელი პიოტრ როდიონოვი, მიხეილ ლებედევი— საბჭოთა კავშირის ჩემპიონი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ალექსანდრ დოლგუშინთან ერთად, ნიკოლაი ხარკოვი და ამ სტრიქონების ავტორი.

ჩვენს კვალდაკვალ ბაკურიანში თხილამურებით მრბოლელთა ახალი ჯგუფი ჩავიდა.

იწყებოდა ბაკურიანის სპორტული ცხოვრება!

**ლ. კუზნეცოვი,**
**სპორტის ოსტატი.**

„სოვეტსკი სპორტი“, № 44 (11363).

# გიორგი კალანდაძე



73 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, შრომის ვეტერანი, დიდი სამამულო ომის მონაწილე გიორგი ნესტორის ძე კალანდაძე.

გიორგი კალანდაძე წარსულში შესანიშნავი სპორტსმენი იყო. თავის დროზე იგი გახლდათ საქართველოს და აჭარის წყალბურთელთა და მოცურავეთა ნაკრები გუნდების წევრი, ცურვაში საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი. 1936 წელს მან მწვრთნელ-მასწავლებლად დაიწყო მოღვაწეობა. გიორგი კალანდაძის აღზრდილია მთელი თაობა საუკეთესო სპორტსმენებისა, რომლებიც წარმატებით იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა ქვეყნის ღირსებას მრავალ დიდ და საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში. მისი მოწაფეები არიან მელბურნის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი წყალბურთში, მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი პიოტრ ბრუსი, სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის ჩემპიონი და ქვეყნის ექს-ჩემპიონი ცურვაში ალბერტ ანტონიანი, მოცურავეთა საკავშირო პირველობის პრიზიორი ერიკ ლაზარიდი და ბევრი სხვა.

1959-1978 წლებში გიორგი კალანდაძე სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ბათუმის საწყლოსნო-სპორტული ბაზის დირექტორი იყო და ამავე დროს მწვრთნელ-მასწავლებლის საქმიანობასაც ეწეოდა, 1979 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი საცურაო აუზის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა.

ღვაწლმოსილი მწვრთნელი დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით, მედლით — „შრომის ვეტერანი“, „საუკეთესო ფიზკულტურელის“ სამკერდე ნიშნით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პედაგოგი, ჭკვიანი, ხალისიანი, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას შესწირა.

გიორგი კალანდაძის ნათელი სახე მუდამ ძვირფასი იქნება მისი ახლობლებისთვის, ნაცნობ-მეგობრებისთვის, ყველასთვის, ვისაც იგი ცხოვრების გზაზე შეახვედრა ბედმა.

**რედაქტორი ა. გოგელია.**

# პირველი სტარტები

## მოთხილამურე არქიტექტორთა საერთაშორისო შეხვედრა

**შეჯიბრების** წინა დღეს ჟურნალისტებთან საუბარში ბულგარეთის გუნდის ხელმძღვანელმა, მოთხილამურე არქიტექტორთა ეროვნული კლუბის პასუხისმგებელმა მდივანმა პლამენ ტიმევმა თქვა, რომ, მისი აზრით, ვაჟთა შორის გამარჯვებას რომელიმე ქართველი მოთხილამურე მოიპოვებს. ქალებში კი „ბულგარული დუეტიდან“ ერთ-ერთი — ანი კოკოშკოვა ან ანტუანეტა ზლოტარევა დაწინაურდება.

პროგნოზი სავსებით გამართლდა. სწრაფდაშვების ტრასაზე (სიგრძე 1200 მ. სიმაღლეთა სხვაობა 300 მ, 27 კარი) ჯერ ვაჟები გამოვიდნენ. საუკეთესო დრო აჩვენა თბილისელმა კოკა ურუშაძემ (1.20,0). მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ძმები ზაზა და კოტე იაშვილები. უფროს ასაკში (45 წელზე ზემოთ), როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა რიგელმა ვისვალდის ბერზინშმა (1.22,5). საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ლენინგრადელი ვალერი კაპლუნოვი და ჩეხოსლოვაკიელი მიროსლავ მასაკი.

ქალთა შეჯიბრებაში ანტუანეტა ზლოტარევამ (1.23,3) ამჯერად დაჯაბნა თავისი მეგობარი და მუდმივი მეტოქე ანი კოკოშკოვა (1.23,57).

მოთხილამურე არქიტექტორებს მომდევნო სტარტი გიგანტურ სლალომში აქვთ.

**ოთარ ნოზაძე,**
**(ტელეფონით „ლელოს“ სპეც. კორ.).**

ბაკურიანი.

სპორტსაზოგადოება „ზენიტის“ რესპუბლიკური საბჭო 24 თებერვალს დილის მასივის ტყეპარკში აწყობს ადგილობრივი და უმაღლესი საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილ საკონტროლო მასობრივ შეჯიბრებას დევიზით: „ვიმოძრაოთ ჯანმრთელობისთვის“.

დასაწყისი 12 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06003